ბრძანება:**ბ47. 47233524**

თარიღი:**18/12/2023**

**ბრძანება N 117**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთათვის მოხელის კლასის მინიჭების შესახებ**

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 26-ე მუხლის , დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და ,,პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N219 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეებს (გარდა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოხელეებისა)მოტივაციის ამაღლების მიზნით, მოხელის შეფასების შედეგების საფუძველზე, მიენიჭოთ მოხელის მეორე კლასი, დანართის შესაბამისად.

2. მოხელეს, რომელსაც მიენიჭა მოხელის კლასი, მიეცეს თანამდებობრივი სარგოს დანამატი - საკლასო დანამატი.

3.მოხელის საკლასო დანამატის ოდენობა პირველი კლასისათვის განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს 1%-ის ოდენობით, ხოლო მეორე კლასისათვის თანამდებობრივი სარგოს 2%-ის ოდენობით.

4.დაევალოს მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურს საკლასო დანამატის გაცემის ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა.

5.დაევალოს საკრებულოს საორგანიზაციო და საკადრო მომსახურების განყოფილებას აღნიშნული ბრძანების თანამშრომლებისათვის გაცნობა.

6. ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი